დადგენილება #08/2024 – სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2023-2024 სასწავლო წელს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის,მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის, ასევე საშემსრულებლო ფაკულტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის, ერთჯერადად, საკვალიფიკაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების ვადების განსაზღვრისა და აქედან გამომდინარე გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის N21/2024 დადგენილების დამტკიცების შესახებ

**დადგენილება #08**

**თარიღი: 05 ივნისი, 2024 წელი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე—11 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 03 ივნისის No 01 / 373 წარდგინებისა და კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 05 ივნისის № 06 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე

წარმმადგენლობით საბჭო ადგენს:

1.დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2023-2024 სასწავლო წელს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის,მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის, ასევე საშემსრულებლო ფაკულტეტის მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის, ერთჯერადად, საკვალიფიკაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების ვადების განსაზღვრისა და აქედან გამომდინარე გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის N21/2024 დადგენილება წარმოდგენილი სახით

2 დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge .

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე—12 კილომეტრი, №64).

დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი